პროექტი

საქართველოს კანონი

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 15.07.2015, სარეგისტრაციო კოდი: 130000000.05.001.017864) 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. პირის დაზვერვის სააგენტოში სამუშაოდ მიღებასთან, მის სპეციალურ შემოწმებასა და მის მიერ სამსახურის გავლასთან დაკავშირებით შეიძლება დადგინდეს ამ თავით დადგენილისგან განსხვავებული წესები, რომლებსაც დაზვერვის სააგენტოს უფროსის წარდგინებით ამტკიცებს სამსახურის უფროსი, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი

თბილისი,
2026 წლის ... მარტი.